ეროვნული ბიბლიოთეკა

სიჭაბუკე—

დღევანდელი და მომავალი გამარჯვებები!

27 ივნისი
საბჭოთა
ახალგაზრდობის
დღეა!

ჩვენი ქვეყანა ზეიმით აღნიშნავს საბჭოთა ახალგაზრდობის დღეს. ახალგაზრდობა!.. — იგი ჩვენი დღევანდელი და ხვალინდელი დღეც. ახალგაზრდობა!.. — მისი მარჯვენის ნაღვაწია გრანდიოზული ელსადგურებიც, გიგანტური ბრძმედებიც, შახტები, კულტურის სასახლეები, საცხოვრებელი სახლები... პარტიისა და მთელი ხალხის, უფროსი თაობის მხარდამხარ იბრძვის ჩვენი სახელოვანი თაობა კაცობრიობის სანუკვარი მიზნის — კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად.

საბჭოთა ახალგაზრდობა ჩვენი დიადი მომავალი, ჩვენი ახალი წარმატებებია ყველგან, ყველა სფეროში — პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებაში, კულტურასა და სპორტში. ახალგაზრდობა ჩვენთვის — მთელი სპორტული სამყაროსათვის — ესაა მომავალი რეკორდები და სწორუპოვარი გამარჯვებები საკავშირო სარბიელზე თუ საერთაშორისო ასპარეზზე.

ჩვენი სპორტული ახალგაზრდობა ღირსეულად მიაბიჯებს კომუნიზმის მშენებელთა ავანგარდში.

საბჭოთა სპორტული ახალგაზრდობის ღირსეული წარმომადგენლები არიან ქართველი სპორტსმენებიც. აი, ამ სურათებზეც ხედავთ ზოგიერთ მათგანს. მათ შორისაა მსოფლიო ჩემპიონიც, უკვე აღიარებული ჭადრაკის „დედოფალი“ ნონა გაფრინდაშვილი და მისი ღირსეული ცვლაც — ნორჩი ნანა ალექსანდრია, უკვე მრავალ საერთაშორისო ბრძოლაში გამობრძმედილი ჩოგბურთელიც, გალეას თასის მფლობელი ალექსანდრე მეტრეველი და ქართველ ტანმოვარჯიშე ქალთა ლიდერიც — ალექსანდრა ჯანუყაშვილიც.

ისინი ბევრნი არიან — ჩვენი საამაყო, სასიქადულო ახალგაზრდები, რომლებიც სანიმუშო სწავლითა და შრომით, შესანიშნავი სპორტული წარმატებებით ასახელებენ ხალხს და ქვეყანას. დაე, კიდევ დიდხანს ევლოთ მათ გამარჯვებათა საამაყო გზით!

მატჩი—რიგაში

მოსკოვი, 26 ივნისი (ტელეფონით). დღეს აქ მოხდა შეთანხმება ჭადრაკის „დედოფალს“ ნ. გაფრინდაშვილსა და ამ წოდების პრეტენდენტ ა. კუშნირს შორის მსოფლიო პირველობის მატჩის მოწყობის თაობაზე. ეს საინტერესო შეჯიბრება გაიმართება წლეულს სექტემბერში, ლატვიის დედაქალაქ რიგაში.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი

№ 125 (2845) ● კვირა, 27 ივნისი, 1965 წ. ● ფასი 3 კაპ.

გუშინ...

ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე გაიმართა ფეხბურთელთა უმაღლესი ლიგის გუნდების კალენდარული მატჩები.

● **სკა (დონის როსტოვი) — სკა (ოდესა) 2:1.** გოლები გაიტანეს: მასპინძელთაგან — **კოპაევმა (2)**; სტუმართაგან — **სტანკიავიჩუსმა.**

● **„შახტიორი“ — „პახტაკორი“ 4:1.** დონეცკელთაგან **ბურთები გაიტანეს: პილიპჩუკმა, მიზერნიმ, როდინმა, ანდრიენკომ,** ტაშკენტელთაგან — **კრასნიცკიმ.**

● **„ჩერნომორეცი“ — „დინამო“ (კიევი) 2:2. გოლების ავტორები** არიან: ოდესელთაგან — **ლობანოვსკი** და **დერიაბინი;** კიეველთაგან — **პუზაჩი (2).**

● **„დინამო“ (მინსკი) — „სპარტაკი“ 0:0.**

● **„დინამო“ (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“ 5:1. ბურთები გაიტანეს:** დინამოელთაგან — **ჩისლენკომ, ავრუცკიმ, გუსაროვმა** და **ვშივცევმა (2);** ლოკომოტიველთაგან — **ორეშნიკოვმა.**

ახალგაზრდობა ამართლებს

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 26 ივნისი.

„დინამო“ (თბილისი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 2:0 (0:0).

„**დინამო**“: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, ილიადი, ხუციშვილი, მაისურაძე, იამანიძე, დათუნაშვილი.

„**კრილია სოვეტოვი**“: სოკოლოვი (აგურეევი), მაიოროვი, სახაროვი, კაპსინი, ვალკოვი, ფიოდოროვი, კოხი, საველიევი, ჟუკოვი, კაზაკოვი, კიკინი.

მსაჯი ე. ჰიარმსი (ტალინი).

დებულება კანონია. სწორედ მისი ძალით მოუხდა თბილისის „დინამოს“ გუშინდელ მატჩში თამაში 3 წამყვანი ფეხბურთელის — 3 უძლიერესი ფორვარდის გარეშე, რომლებიც სსრ კავშირის ნაკრებში არიან გამგზავრებული. მათი დუბლირება მიენდო ახალგაზრდებს, ხოლო შეტევის ხაზის მთლიანობის შენარჩუნებისა და გაძლიერებისათვის იამანიძე დაუბრუნეს თავის ძველ „სპეციალობას“ — თავდასხმას.

და, უნდა ითქვას, ახალგაზრდობამ ძირითადად გაამართლა იმედი. კიდევ მეტიც: ამ მატჩმა ნათლად დაამტკიცა, რომ ჩვენ ახლა გვყავს სრულ საბრძოლო ფორმაში მყოფი, მაღალი კვალიფიკაციის ნახევარმცველი ა. ილიადი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ არა სახელდახელო და დროებითი „რემონტის“ სახით, არამედ საფუძვლიანად, საიმედოდ. ილიადი ორგანიულად შეეწყო საერთო ანსამბლს, მის სტილს. ვიზა მაღალი ოსტატობისაკენ მას გარანტირებული აქვს.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ კუიბიშეველთა გუნდი დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა ჩემპიონისთვის. პირველი 15 წუთის განმავლობაში სტუმრების კართან განუწყვეტლივ იქმნებოდა მომენტები და თვითეული მათგანი თავისუფლად შეიძლებოდა გოლით დამთავრებულიყო. ამ 15 წუთს მოყვა მეორე 15 წუთი, მერე — მესამე, გოლი კი არა და არ ჩანდა. დათუნაშვილი დაიღალა ორივე ფლანგიდან კუთხური ბურთების მოწოდებით, აგურეევის კარზე გამუდმებით ეკიდა „დამოკლეს მახვილი“, მაგრამ ის სუსტი ძაფი, რომელზეც იგი ეკიდა, არ იქნა და არ გაწყდა. ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა, ამასთან 44-ე წუთზე ჟუკოვის ძლიერი დარტყმა მხოლოდ იღბლად მოხვდა ძელს.

მეორე ტაიმი კიდევ უფრო მძიმე გამოდგა კუიბიშეველთათვის. 52-ე წუთზე მაისურაძის მიერ თავით დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა, მცირე ხნის შემდეგ ხუციშვილმა ააცილა მიზანს ახლო მანძილიდან და მხოლოდ 62-ე წუთზე იქნა კარი აღებული. იამანიძე კარგად გავიდა სამ მცველს შორის და თავისი დრიბლინგი ძლიერი დარტყმით დაამთავრა. მეკარემ დააბრუნა ბურთი, მაგრამ დათუნაშვილმა ზუსტად აუღო ალღო შექმნილ მდგომარეობას, სწრაფად გადაინაცვლა მარჯვნივ და ძნელი მდგომარეობიდან გახსნა ანგარიში.

მეორე გოლი, რომელმაც წერტილი დაუსვა თბილისელთა გამარჯვებას, ეკუთვნის დებიუტანტს — ილიადის. მან იამანიძესთან ერთად ცენტრში გაითამაშა კომბინაცია და შორი მანძილიდან ძლიერად, ზუსტად დაარტყა. ბურთი მოხვდა ძელს და გავიდა კარში — 2:0. ჩემპიონმა, როგორც იქნა, აიღო 2 ქულა.

რ. ქორიძე.

მეტრეველი, ბარქაია, მესხი...

მოსკოვი, 26 ივნისი. სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ნ. მოროზოვმა დღეს დაასახელა ჩვენი გუნდის შემადგენლობა დანიელებთან ხვალინდელ მატჩში. ნაკრების ღირსებას დაიცავენ: კავაზაშვილი (ან ბანიკოვი), ლოგოფეტი, შესტერნიოვი, რიაბოვი, დანილოვი (ან სარაევი), ვორონინი, ჰუსაინოვი, მეტრეველი, ივანოვი, ბარქაია, მესხი.

ფეხბურთი
1965

2:0

ლენინგრადი, 26 ივნისი (ტელეფონით). დღეს აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ზენიტი“ და ქუთაისის „ტორპედო“, თავიანთი გუნდების ღირსებას იცავდნენ: „ზენიტი“ — ვოსტროილოვი, ნეპომილუევი, სოვეიკო, სპირიდონოვი, ალამი, სადირინი, ბელიკოვი (კროტკოვი), ვასილიევი, გორბუნოვი, ბურჩალკინი, სოლოვიოვი; „ტორპედო“ — კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წივწივაძე, პეტრიაშვილი, ზარია, კუტივაძე, წვერავა, ვეკუა, ჩხარტიშვილი, გიგინეიშვილი (ჯობავა), ასიტაშვილი.

მატჩს სჯიდა ნ. ბალაკინი (კიევი).

შეხვედრის პირველი ნახევარი ორმხრივი მწვავე შეტევებით მიმდინარეობდა, მაგრამ ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო გოლის გატანა.

შესვენების შემდეგ „ზენიტმა“ უმატა იერიშებს და 70-ე წუთზე კროტკოვმა ანგარიში გახსნა—1:0.

მატჩი თითქოს ასეც უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ 89-ე წუთზე სადირინმა კიდევ ერთი ბურთი მოათავსა ქუთაისელთა კარში — 2:0.

დუბლიორთა მატჩიც ლენინგრადელთა გამარჯვებით დამთავრდა — 1:0.

„ა“ კლასი

გათამაშების ცხრილი

პირველი ჯგუფი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 27 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“ (მოსკოვი)	9	6	2	1	15—2	14
ცსკა	10	5	4	1	13—4	14
„შახტიორი“ (დონეცკი)	10	5	3	2	16—11	13
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	10	5	2	3	12—7	12
„დინამო“ (მინსკი)	9	4	3	2	9—4	11
„დინამო“ (თბილისი)	9	4	3	2	13—9	11
„დინამო“ (კიევი)	9	4	3	2	11—7	11
„დინამო“ (მოსკოვი)	10	3	4	3	11—8	10
სკა (როსტოვი)	9	3	4	2	10—9	10
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	10	3	3	4	11—10	9
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	9	4	1	4	10—11	9
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	10	4	1	5	9—12	9
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	9	3	2	4	9—12	8
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	10	3	2	5	12—15	8
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	9	2	3	4	8—14	7
სკა (ოდესა)	9	0	2	7	2—17	2
„ტორპედო“ (ქუთაისი)	9	1	0	8	2—20	2

სარბიელი, სპორტსმენი და შედეგები

ასპარეზზეა პროფკავშირული სპარტაკიადა

კლასიკური ჭიდაობა

პირადი პირველობა. უმჩატესი წონა — 1. დონჯაშვილი („ბურევესტნიკი“), 2. დოხტურაშვილი („განთიადი“), 3. აგაბაბოვი („სპარტაკი“); **მჩატე წონა** — 1. ისახანოვი („სპარტაკი“), 2. დავითაია („ბურევესტნიკი“), 3. ჭეიშვილი („განთიადი“); **ქვემსუბუქი წონა** — 1. კანკავა („ბურევესტნიკი“), 2. ამარიანი („სპარტაკი“), 3. რობაქიძე („შრომითი რეზერვები“); **მსუბუქი წონა** — 1. საკანდელიძე („ბურევესტნიკი“), 2. მინასიანი („სპარტაკი“), 3. სიმონიშვილი („ლოკომოტივი“); **ქვესაშუალო წონა** — 1. ჭელიძე („ბურევესტნიკი“), 2. კამარაული („შრომითი რეზერვები“), 3. ტყემალაძე („განთიადი“); **საშუალო წონა** — 1. ბლიაძე („ბურევესტნიკი“), 2. მგელაძე („სპარტაკი“), 3. ბადაშვილი („განთიადი“); **ქვემძიმე წონა** — 1. ხაბულიანი („ბურევესტნიკი“), 2. ნოზაძე („სპარტაკი“), 3. გველესიანი („განთიადი“); **მძიმე წონა** — 1. ხაბეიშვილი („ბურევესტნიკი“), 2. კუპუხიძე („შრომითი რეზერვები“), 3. ერემეიშვილი („სპარტაკი“).

გუნდური პირველობა. 1. „ბურევესტნიკი“ — 9 ქულა, 2. „სპარტაკი“ (20), 3. „განთიადი“ (28), 4. „შრომითი რეზერვები“ (35), 5. „ლოკომოტივი“ (38), 6. „კოლმეურნე“ (43 ქულა).

ხელბურთი

ქალები. მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 4 გუნდმა. I. „განთიადი“, II. „ბურევესტნიკი“, III. „ლოკომოტივი“.

შეხვედრათა ტექნიკური შედეგები: „განთიადი“ — „ბურევესტნიკი“ 8:8 (7:6), „განთიადი“ — „ლოკომოტივი“ 26:8 (16:2), „განთიადი“ — „სპარტაკი“ 9:4 (3:1), „ბურევესტნიკი“ — „ლოკომოტივი“ 8:6 (6:1), „ბურევესტნიკი“ — „სპარტაკი“ 19:7 (10:5), „ლოკომოტივი“ — „სპარტაკი“ 7:5 (5:3).

ამ ასპარეზობის მიხედვით დასკვნის გამოტანა, რომ ჩვენი გუნდები მაღალი კლასის კოლექტივებს წარმოადგენენ, მცდარი იქნება. სამწუხაროდ, ისინი ჯერ კიდევ ნაკლებად პასუხობენ თანამედროვე ხელბურთის მოთხოვნებს.

სურათზე: „ბურევესტნიკისა“ და „სპარტაკის“ ხელბურთელ ქალთა გუნდების შეხვედრის მომენტი. ეს მატჩი მოიგეს სტუდენტებმა — 19:7.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა.

ველოსპორტი

ტრეკი

პირადი პირველობა. სპრინტი. ვაჟები — ი. იუხნევიჩი („სპარტაკი“), ქალები — 1. პოდოლსკაია („განთიადი“). **გიტი 500 მ ადგილიდან** (ქალები) — 1. პოდოლსკაია („განთიადი“) — 42,5. **1000 მ ადგილიდან** (ვაჟები) — 1. ასკურავა („შრომითი რეზერვები“) — 1.13,8. **3 კმ გამოდევნებით** (ქალები) — 1. პოდოლსკაია („განთიადი“) — 4.28,3. **4 კმ გამოდევნებით** (ვაჟები) — 1. ბაქრაძე („სპარტაკი“) — 5.18,4.

გუნდური პირველობა. 1. „სპარტაკი“, 2. „შრომითი რეზერვები“, 3. „განთიადი“.

ნიჩბოსნობა

აკადემიური

ქალები. დისტანცია 1000 მ. ერთადგილიანი — ჯ. კილასონია („სპარტაკი“) — 4.39,8; ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი — ლ. ხუციშვილი, ნ. იასტერმსკაია („ბურევესტნიკი“) — 5.39,0; ოთხადგილიანი გასაშლელი, მესაჭით — „ბურევესტნიკი“ (ა. დუნდუა, ლ. ხუციშვილი, დ. კოლინიჩენკო, მ. იასტრემსკაია, მესაჭე — ლ. რუდენკო) — 5.53,6; ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანი, მესაჭით — „სპარტაკი“ (თ. გზირიშვილი, უ. ეკალაძე, მ. ლოხანკინა, ფ. ისაკოვა, მესაჭე — დ. ექვსშაურაშვილი) — 6.10,1; რვაადგილიანი — „განთიადი“ (ლ. პეტუხოვა, ო. პუგაჩი, რ. მოლოჩნაია, გ. კრივოშეინა, ს. სტაცენკო, ი. კრიშჩენკო, რ. კულიკი, ზ. ივანოვა, მესაჭე — ვ. შონია) — 5.37,4. **ვაჟები.** დისტანცია 2000 მ. ერთადგილიანი — ვ. ბაშკინოვი („სპარტაკი“) — 9.19,2; ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი — ა. კრივოროტოვი, ე. შევცოვი („ბურევესტნიკი“) — 7.15,4; ორადგილიანი გასაშლელი, მესაჭით — „ბურევესტნიკი“ (გ. ლიქოკელი, გ. ჭუმბურიძე, მესაჭე — ა. ალამირზიანი) — 8.59,6; ორადგილიანი გასაშლელი, უმესაჭოდ — „ბურევესტნიკი“ (ა. კავსაძე, ვ. კოვზირიძე) — 8.34,0; ოთხადგილიანი გასაშლელით, მესაჭით — „სპარტაკი“ (უ. ნათელაშვილი, გ. არქიელიძე, ვ. მრევლიშვილი, ვ. ბაშკინოვი, მესაჭე — გ. ნასყიდაშვილი) — 7.34,2; ოთხიანი გასაშლელი, უმესაჭოდ — „ბურევესტნიკი“ (ბ. ერისთავი, ნ. ნასიძე, ა. კავსაძე, თ. კალანდაძე) — 8.56,2; რვაადგილიანი — „ბურევესტნიკი“ (გ. ლიქოკელი, გ. ჭუმბურიძე, მ. ნარსია, მ. გაწერელია, ე. შევცოვი, ზ. იმნაძე, ზ. კოვზირიძე, ა. კავსაძე, მესაჭე — მ. მამულაშვილი) — 7.32,0.

გუნდური: I. „ბურევესტნიკი“ — 34 ქულა, II. „სპარტაკი“ — 25, III. „განთიადი“ — 23,5.

ტურნირში მხოლოდ 3 გუნდი მონაწილეობდა, ისე, რომ საპრიზო ადგილი ყოველ მათგანს ჯერ კიდევ ასპარეზობის დაწყებამდე ჰქონდა გარანტირებული (?!). დიდი ბრძოლით არც პირადი პირველობა გამოირჩეოდა. სტარტზე მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში გამოვიდა 4 ნავი, იყო ისეთი გაცურვებიც (ქალთა ოთხიანი და რვიანი), რომლებშიც მარტო 1 ნავი მიდიოდა ფინიშისკენ. ყოველივე ამან შეჯიბრება უინტერესო გახადა. მოასპარეზენი პირდაპირ მისეირნობდნენ და, ცხადია, შედეგებიც მეტად დაბალია. მაგალითად, ერთადგილიანებით ქალთა შეჯიბრებაში I და II პრიზიორს შორის განსხვავებამ 1 წუთს მიაღწია, ვაჟთა რვაადგილიანს სულ ცოტა 50 წამით უკეთესი დრო მაინც უნდა ეჩვენებინა, ვიდრე ოთხადგილიანს მესაჭით. ამ შეჯიბრებაში კი ეს სხვაობა მხოლოდ 2,2 წამით გამოიხატა. როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

ჩოგბურთი

ქალთა ერთეულები: მონაწილეობა მიიღო 24-მა სპორტსმენმა; ფინალი: ერმოლოვა — რუხაძე — 6:1, 6:2, შეხვედრა III-IV ადგილებისთვის: ივანოვა — მგალობლიშვილი — 6:1, 6:3.

ვაჟთა ერთეულები: მონაწილეობა მიიღო 24-მა სპორტსმენმა; ფინალი: პერეგუდოვი — მუსაელიანი — 7:9, 6:2, 6:3. III ადგილი — ვერულავა.

ქალთა წყვილები: მონაწილეობა მიიღო 7-მა წყვილმა; ფინალი: ერმოლოვა — ივანოვა — რუხაძე — მგალობლიშვილი — 6:2, 6:1, III ადგილი — ანტიპინა — ფარსადანოვა.

ვაჟთა წყვილები: მონაწილეობა მიიღო 8 წყვილმა; ფინალი: აბაშკინი — შავლისი — მუსაელიანი — სურმავა — 2:6, 6:2, 6:2.

17 წლის ჭაბუკების — აბაშკინისა და შავლისის გამარჯვება სასიამოვნო სიურპრიზი გახლავთ. ასეთ დიდ შეჯიბრებაში მათ პირველად მიაღწიეს წარმატებას.

შერეული წყვილები: მონაწილეობა მიიღო 12-მა წყვილმა; ფინალი: ერმოლოვა — მუსაელიანი — ივანოვა — ვერულავა — 6:4, 6:4. III ადგილი — რუხაძე — აბაშკინი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ შეჯიბრება საუცხოოდ იყო ორგანიზებული და არბიტრებმა (შეჯიბრების მთავარი მსაჯი ი. გომერი) დაკისრებულ ამოცანას კარგად გაართვეს თავი. სამწუხაროდ, ჩვენს დედაქალაქში სხვადასხვა სახეობაში ასპარეზობათა ჩატარებისას ჯერჯერობით კიდევ ვაწყდებით ისეთ ფაქტებს, როცა ინფორმაციის საქმე ძალიან ცუდად არის ხოლმე დაყენებული. ამ მხრივ გამონაკლისია ჩოგბურთელთა შეჯიბრებები. ამჯერადაც ასპარეზობის ორგანიზატორებმა შრომის მაღალი კულტურით გამოიჩინეს თავი და თვალსაჩინოდ მოაწყეს მაყურებელთა, მონაწილეთა და ჟურნალისტთა ინფორმაციული ცნობებით მომარაგება.

„მცირე ავიაცია“ სერავს სივრცეებს

ქარი ებრძოდა მოდელებს

მექანიკურძრავიანი ავიამოდელებით შეჯიბრების მტკიცე კანონი ასეთია: სტარტის შემდეგ ძრავამ მხოლოდ 11 წამს უნდა იმუშაოს, რის მერე იგი ქრება და მოდელი მოლივლივე ფრენაზე გადადის. თუ ჰაერში მოდელი 3 წუთს დაჰყოფს, მიიღებს უმაღლეს შეფასებას — 180 ქულას. ძრავის მუშაობის გადამეტებისა და ფრენაში დაკლებული ყოველი წამისთვის ქულები მცირდება (3 წუთის გადამეტებისთვის სპორტსმენს არაფერი ეძლევა). სამწუთიანი ფრენით ფასდება პლანერებისა და რეზინისძრავიანი მოდელებიც. გამარჯვებულად ითვლება ის, ვინც 5 ტურის 900 შესაძლებლიდან ყველაზე მეტ ქულას მოაგროვებს. (ქულათა მაქსიმუმის მიღება აქ უიშვიათესი მოვლენაა).

მექანიკურძრავიანი მოდელებით თბილისის, აჭარის, აფხაზეთისა და ქუთაისის გუნდების ასპარეზობაში გამარჯვებულმა თბილისელმა პირველთანრიგოსანმა ბ. ბადრიშვილმა მხოლოდ 600 ქულა მოაგროვა, II პრიზიორმა, ქუთაისელმა გ. ჯიშკარიანმა კი — 268.

უფრო კარგად იმუშავა თბილისელი ოსტატის ბ. ჟუიკოვის რეზინისძრავიანმა მოდელმა. ხუთ ტურში მან 736 ქულა დააგროვა და ჩემპიონობაც დაისაკუთრა. II ადგილი აქაც ქუთაისელებმა მოიპოვეს. პირველთანრიგოსან რ. ტაბიძის მოდელმა 514 ქულა დაიმსახურა.

პლანერების მოდელებით ასპარეზობა მოიგო ვ. კარპოვმა (თბილისი) — 522 ქულა. თანაგუნდელ ა. პილიშჩუკს მან 78 ქულით აჯობა.

შედეგები უკეთესი იქნებოდა, რომ შეჯიბრების დროს ძლიერი ქარი არ ამოვარდნილიყო. მას მოდელები წონასწორობიდან გამოჰყავდა და მიწისკენ მიაქანებდა.

მარყუჟების კასკადი

სწორედ ძლიერი ქარის „წყალობით“ დაბალი შედეგებით აღინიშნა საკორდო ავიამოდელიზმში შეჯიბრებაც. ასე გასინჯეთ, სწრაფადმფრენ მოდელებში სსრ კავშირის ჩემპიონატის II პრიზიორმა, თბილისელმა ვ. ტოკარევმაც კი ვერ მიიღო ჩათვლა.

შედარებით უკეთეს მეტეოროლოგიურ პირობებში მოუხდათ გამოსვლა საპილოტაჟო მოდელებს. აქ ასპარეზობისას თვითმფრინავის მოდელი ასრულებს უმაღლესი პილოტაჟის თითქმის ყველა ფიგურას — „მკვდარ მარყუჟს“, „ოთხკუთხა“ და „სამკუთხა მარყუჟს“, „რვიანს“, „ზურგზე“ ფრენას. ამოღებულია მხოლოდ „კასრი“ და „იმმელმანი“. ყველაზე კარგად იმუშავა ო. მერეშკინის (თბილისი) მოდელმა, რომელმაც 443 ქულა მიიღო.

სარბოლი მოდელებით ტურნირში პირობა ერთნაირია — ყველამ 10.000 მ უნდა გაიაროს. მოდელთა ავზი თანაბარი მოცულობისაა, რომელთა ავსება 3-4-ჯერ მაინც ხდება, რაც სპორტსმენთა ტექნიკასა და სისწრაფეს მოითხოვს. პირველობა ენიჭება მას, ვისი მოდელიც ყველაზე სწრაფად გაივლის 10 კილომეტრს.

ამ ტურნირმა გამარჯვება მოუტანა თბილისელ ოსტატებს ა. სადაღოვსა და ა. ბელოუსს. მათმა მოდელმა 10.000 მეტრზე ფრენას 6 წუთი და 8 წამი მოანდომა. გამარჯვებულებს 7 წამით ჩამორჩნენ თბილისელები გ. მურადიანი და რ. შმატკოვი. III ადგილზე არიან აჭარის გუნდის წევრები ა. გოლუშკო და ს. ჩილიჯანი.

თბილისელი პირველთანრიგოსნის ტ. კალანდაძის უპირატესობით აღინიშნა საკორდო თვითმფრინავების ასლებით ტურნირი. „საჰაერო ბრძოლის“ ფინალში კი ერთმანეთს შეხვდნენ ა. კაზარიანი (აჭარა) და გ. მენაბდიშვილი (თბილისი). კაზარიანმა შეძლო მეტოქის „ჩამოგდება“ და პირველობაც მას დარჩა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი, 2. აჭარა, 3. აფხაზეთი.

100-კილომეტრიან სამკუთხედზე

ავიასპორტის უკანასკნელი სახეობა იყო პლანერებით ფრენა. 100-კილომეტრიან სამკუთხედზე ფრენა მოიგო თბილისის ქარხანა „ცენტროლიტის“ ინსტრუმენტალისტმა ზ. ცატუროვმა — 1:52,0. თბილისის ავიასპორტკლუბის ინსტრუქტორი გ. ჯიღაური II ადგილზე გავიდა, ხოლო კიროვის სახელობის ჩარხსაშენი ქარხნის თბომავლის მემანქანე ნ. კოსტენკო — მესამეზე.

ო. ბელაშვილი.

რადიო „ნადირობს მელაზე“

მეტად საინტერესო შეჯიბრებაა რადიოთი „ნადირობა მელაზე“. ამ ასპარეზობაში მონაწილე რადისტებს სხვადასხვა სიგრძის ტალღაზე მომუშავე რადიოსადგურებით უხდებათ სხვადასხვა ადგილზე „თავშეფარებული მელების“ მონახვა. იმარჯვებს ის, ვინც ყველაზე სწრაფად დაიჭერს სამივე „მელას“.

80 მეტრის სიგრძის ტალღაზე მომუშავეთა შორის კარგად „ინადირა“ თბილისელმა ა. მოროზოვმა. სამივე „მელა“ მან 51 წუთში იპოვნა, მაშინ, როცა ამავე ამოცანის გადაწყვეტას ქუთაისელმა გ. დვალიშვილმა 1 საათი და 2 წუთი მოანდომა, ხოლო თბილისელმა ი. პიატკინმა — 1 საათი და 4 წუთი.

10 მეტრის სიგრძის ტალღაზე მომუშავეებში სამივე საპრიზო ადგილი თბილისელებმა დაისაკუთრეს. 3-3 კილომეტრით დაშორებული „მელები“ ყველაზე ჩქარა (58 წუთში) ი. პიატკინმა აღმოაჩინა და „დაიჭირა“.

„მონადირეებს“ ძალიან გაუჭირდათ 2 მეტრის სიგრძის ტალღაზე მომუშავე აპარატებით „ნადირობა“. მართალია, გამარჯვება აქაც ი. პიატკინს ხვდა წილად, მაგრამ ახლა თვითეული „მელის“ დაჭერაზე მან საშუალოდ 33 წუთი დაკარგა. თუმცა ესეც საკმარისი აღმოჩნდა, რომ **მრავალჭიდში პიატკინს საქართველოს ახალი რეკორდი დაემყარებინა — 221 წუთი.**

კომპლექსში II ადგილზე გავიდა ა. მოროზოვი, მესამეზე — თბილისელი ლ. გევენოვი.

ქალთა „შეიარაღება“ უფრო მსუბუქი იყო. მათ „ნადირობა“ უხდებოდათ მხოლოდ 10 მეტრის სიგრძის ტალღის რადიოსადგურებით და აქაც თბილისის გუნდის წევრს ხვდა წარმატება: ი. მაღნარაძემ „სნაიპერული“ სიზუსტით აღმოაჩინა ერთმანეთისაგან 1,5 კილომეტრით დაშორებული „მელები“ და 49 წუთში „დაატყვევა“ სამივე „მტაცებელი“. [illegible] ნ. ორლოვამ ამ ოპერაციას ორჯერ მეტი დრო — 108 წუთი მოანდომა.

ცხადია, გუნდური გამარჯვებაც თბილისელებს ხვდათ წილად. მათ 408 ქულა მოაგროვეს. აჭარის რადისტებს 218 ქულა აქვთ, ქუთაისელებს კი მხოლოდ 88.

ო. ივდოშვილი.

ვ. ბუნების საოცრება შავი ზღვისპირის მთიანეთში

დასასრული. იხ. „ლელო" № 122, 124.

მიწის ქვეშ ყველაფერი ან სწრაფად ინგრევა (ხე, რკინა), ან საუკუნოდ ინახება. ამის მიზეზია ჰაერის მეტად დიდი ტენიანობა და უცვლელი ტემპერატურა. ტენიანობა 100 პროცენტს აღწევს, ამიტომაც ჩვენ სრულებით არ გვინდებოდა წყლის ხმა დარბაზებიდან დარბაზებში მომქანცველი გადასვლების შემდეგაც კი. სამაგიეროდ, საძილე ტომრები გაიქლინთა და დანესტიანდა მესამე დღესვე. ეს დიდ უხერხულობას გვიქმნიდა, რის წინაშეც ჩვენ სრულიად უძლურნი ვიყავით. გარკვეულწილად გვშველოდა კონიაკი. ძილის წინ 50-50 გრამს ვსვამდით, როგორც მატონიზირებელ საშუალებას. რა თქმა უნდა, ეს არც ისე ბევრი იყო და მეტი გვინდოდა, მაგრამ... 50 გრამს ზევით „ტაბუ" იყო დადებული და მისი დარღვევის უფლება არავის ჰქონდა. აქვე უნდა დავძინო, რომ ეს დიდი ტენიანობა თითქმის არ იგრძნობოდა. კოლხიდაში ტენიანობა გაცილებით უფრო ნაკლებია, მაგრამ ჭაობების შემხუთველი ანაორთქლი მის ატანას შეუძლებელს ხდის. აქ კი მუდამ სიგრილეა, სუფთა ჰაერია და გაღვიძებისას ისე გრძნობ თავს, თითქოს ეს-ესაა წყაროს წყლით დაგიბანია თავი.

წლის ყოველ დროს ანაკოპიის უფსკრულში თერმომეტრი 14 გრადუს სითბოს უჩვენებს. ასეთი ტემპერატურა იყო იანვარში და ასეთივე ტემპერატურა დაგვხვდა ივნისს.

ანაკოპიის უფსკრულში მოგზაურობას თბილისისა და ჰელექტიტების დარბაზები აგვირგვინებენ. ეს დარბაზები სავსებით შეუდარებლებია. ისინი თეთრი ტუფითაა დაგებული, მბრწყინავი სტალაქტიტების გირლიანდებითაა მორთული და დაფარულია მრავალფეროვანი კრისტალების ჭირხლით. ერთი სიტყვით, ესაა ნამდვილი ალადინის სამეფო. მე თავს ვიკავებ ამ გამოქვაბულთა სილამაზის აღწერისგან. ეს უნდა ნახოს კაცმა! და თქვენ ამას ნახავთ კიდევაც! ტყუილად კი არ მუშაობდა ენრიკო გერმესაშვილი 15-18 საათს დღელამეში, როცა ანაკოპიის მიწისქვეშა დარბაზებს იღებდა. ეს იქნება პირველი საბჭოთა ფილმი გამოქვაბულებზე.

ჰელექტიტების დარბაზი ანაკოპიის მარგალიტია. ეს დარბაზიც არაა, გიგანტურ „ტაძარს" ვერ შეადარებ. იგი, უბრალოდ, პატარა მღვიმეა, რომელიც შეჰერეზადას წარმოსახვას შეუქმნია თითქოს. საუკუნეების მანძილზე იძერწებოდა აქ ზღაპრული ფორმები სტალაქტიტებისა, რომლებიც მეტად იშვიათი და უნიკალურია. კედლები მთლიანად დაფარულია წვრილი კრისტალური წარმონაქმნებით, რომლებსაც დათრთვილული წიწვოვანი ტოტების ფორმა აქვს. დარბაზის ჭერი დაპირქვავებულ და დაფიფქულ ჯუჯა ტყეს მიაგავს. ეს უცნაური ზღაპრული კრისტალური წარმონაქმნები ალაგ-ალაგ სტალაქტიტების სქელ ლოლუებს ეხება და მათ მბრწყინავი ქოჩრით ფარავს. ზოგიერთი მათგანი იმდენად ჰგავს ჟასმინისა და თეთრი ლილიის აყვავილებულ ბუჩქებს, რომ შეცდომაშიც კი შეიძლება შეგიყვანოთ.

ჰელექტიტების დარბაზის შესაქმნელად ბუნებას განსაკუთრებული სიყვარულითა და მონდომებით უშრომია. ვერც დაიჯერებთ, რომ ყველაფერი ეს — არშიების ასეთი სიმდიდრე, ფორმებისა და ფერების ასეთი ნაირგვარობა თავისთავად წარმოიქმნა. სამწუხაროდ, ფილმის გადაღებისას ჩვენ იქ ბევრი რამ გავაფუჭეთ. განსაკუთრებით დაზარალდა იატაკი. როცა მე პირველად დავინახე იგი, მომეჩვენა, რომ მღვიმე მოფენილია ხალიჩებითა და თეთრი ფარჩით. გაქვავებულ თაბაშირში ჩასმული კრისტალები ისე ბრწყინავდა, როგორც ათასობით პაწია მარგალიტი. ხალიჩაც და მარგალიტებიც ჩვენი ფეხსაცმელების მსხვერპლი გახდა.

ფრანგები ამბობენ: „ბედნიერად რომ იცხოვრო, მყუდროდ უნდა იცხოვრო". 1,5 მილიონი წლის მანძილზე ინახავდა ანაკოპიის უფსკრული თავის განძეულობას. ახლა კი მისი გამოქვაბულები მილიონობით ტურისტის მოგზაურობის ადგილი გახდება. უკვე დაწყებულია სამუშაოები უფსკრულის ათვისებისთვის, მომზადებულია პროექტი და ორი წლის შემდეგ ყველას, ვინც კი მოისურვებს, შეეძლება იხილოს მთელი ეს საოცრება. ეს, რა თქმა უნდა, კარგია. და მაინც როგორღაც დასანანიცაა. ანაკოპიის უფსკრულის მთავარი მომხიბვლელობა ხომ სამყაროსგან მის სრულ განდგომაში მდგომარეობდა. ახლა კი აიდას სამეფოში მმართველად ინტურისტის წარმომადგენელი მოგვევლინება. ასე ილევა ამქვეყნიური დიდება.

როგორც უკვე ვთქვი, მიწის ქვეშ დრო სრულიად შეუმჩნევლად მიდის. შეუმჩნევლად მოვიდა უკან დაბრუნების დღეც. თუ ჩაშვება რაღაცით მაინც იყო სასიამოვნო, ამოსვლამ სიქა გაგვაცალა. თოკის 200-მეტრიან კიბეზე ცოცვა საშინელი „შრომაა". მხოლოდ ზევით შევძელი ღირსეულად შემეფასებინა სპელეოლოგია, როგორც სპორტი. დიახ, ეს სპორტია და ერთობ საინტერესოც. იგი მოითხოვს დიდ ფიზიკურ ძალას, დიდ გამბედაობას, მაგრამ, რაც მთავარია, იგი მოგანიჭებთ პირველი აღმოჩენის სიხარულს და სილამაზით ტკბობის შეუდარებელ გრძნობას.

„სპელეოლოგია ჩინებული სპორტია. იგი აუცილებლად საშიში არ არის, ისე საშიში არ არის, როგორც ალპინიზმი, მაგრამ იმას, ვისაც სურს „თავი აჩვენოს", შეუძლია გამოქვაბულების დაპყრობა საშიშიც გახადოს. თქვენ არ გელით დიდი ხიფათი, თუ მუდამ გემახსოვრებათ, რომ გამოქვაბულთა გამოკვლევა არსებითად შეიცავს ხიფათს, და ამის შესატყვისად ყურადღებით მოეკიდებით გამოქვაბულებს".

ეს სიტყვები ამერიკის დასავლეთის გამოქვაბულთა დიდი მკვლევარის უილიამ ჰოლიდეის წიგნიდანაა აღებული. სამწუხაროდ, ძნელად თუ შევძლებდით რომელიმე ქართველი სპელეოლოგის ციტატის მოტანას. და ეს იმიტომ, რომ ჩვენთან ნამდვილი სპელეოლოგია არც არსებობს. ეს მით უმეტეს არის საწყენი, რომ ამ სფეროში საქართველოს უმდიდრესი შესაძლებლობები აქვს. აფხაზეთში, რაჭა-ლეჩხუმში, გურიაში, იმერეთში მდებარეობს კირქვის მთელი მთაგრეხილები, ხოლო იქ, სადაც კირქვაა, აუცილებლად იქნება გამოქვაბულებიც. რად ღირს მარტო არაბიკის მასივი, რომელიც გაგრის რაიონში მდებარეობს: ათობით უკვალოდ დაკარგული მდინარე, დამაფიქრებელი ტბები, უამრავი გამოქვაბული, რომლებიც გამოკვლევას ელის და რომლებსაც ვერ წვდება ხელები! იმიტომ, რომ ეს ხელები თითო-ოროლაა.

საქართველოს გამოქვაბულთა გამოკვლევას მხოლოდ ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერთა პატარა ჯგუფი მისდევს. არსებობს კიდევ სპელეოლოგიის ფედერაცია, მაგრამ იგი უფრო მეტად სიმბოლურად თუ არსებობს. ეს კი მეტად საწყენია.

ანაკოპიის უფსკრული უთუოდ უნიკალური და გასაოცარი მოვლენაა. მაგრამ რამდენი ასეთივე უფსკრული და გამოქვაბული ელის კიდევ თავის აღმომჩენს?!

ეს წერილი მკითხველში სხვადასხვა გრძნობას დაბადებს. მაგრამ გთხოვთ ერთი რამ სწორად გამიგოთ: სირცხვილია შევნატროდეთ მეზობლის ერთადერთ, მაგრამ მზრუნველობით მოვლილ ვაზს, როცა ჩვენ თვითონვე გვაქვს დიდებული, მაგრამ სრულიად მოუვლელი მთელი ვენახი.

ვ. ქაჯაია.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ახალი ათონი.

* * *

სურათზე: სტალაგმიტების სვეტები „სოხუმის" დარბაზში.

ფოტო ზ. ტინტილოზოვისა.

შ. რუსთველის დაბადების 800 წლისთავის აღსანიშნავად

„ცხენ-კაცისა დავდგი გორი"

ცნობილმა თბილისელმა პრობლემისტმა რევაზ თავარიანმა ჭადრაკის მხატვრული ხერხებით თვალსაჩინოდ გამოხატა დიდი რუსთველის უკვდავი „ვეფხისტყაოსნის" 447-ე ტაეპის შინაარსი.

„შიგან ასრე გავერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი,
კაცი კაცსა შემოვსტყორცი, ცხენ-კაცისა დავდგი გორი".

ამოცანა შედგენილია საკომპოზიციო თეორიის მოთხოვნების შესაბამისად და იგი მხატვრულ ნაწარმოებად ჩაითვლება.



შავები იწყებენ და აშამათებენ თეთრებს 4 სვლაში.

„შიგან ასრე გავერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი,
1. ...მf5 — h4!
2. მფg5:h4
კაცი კაცსა შემოვსტყორცი
2. ... ლf8—f4+!
3. კc8 — g4
ცხენ-კაცისა
3. ... ლf4 — f2+
4. მf1 — g3ლf2 — f6 ×
დავდგი გორი".

ახალი ამბები

● **გუშინ** თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა ფრენბურთელ ქალთა საერთაშორისო შეჯიბრების II ტური, რომლის ტექნიკური შედეგები ასეთია: კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა — სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები — 3:0 (15:10, 15:6, 16:14), სსრ კავშირის I — გდრ—3:0 (15:7, 15:11, 15:3), იაპონია — პოლონეთი — 3:0 (15:5, 15:2, 15:5).

● **ვოლგოგრადი,** 26 ივნისი. გუშინ აქ დაიწყო 10 ქვეყნის წყალში მხტომელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელმაც ესტაფეტა თბილისიდან მიიღო. პირველი დღის ასპარეზობის შემდეგ შედეგებიც საოცრად დაემთხვნენ თბილისის საერთაშორისო შეჯიბრების შედეგებს. ტრამპლინიდან ხტომაში გაიმარჯვა თ. ფედოსოვამ, II ადგილზე გამოვიდა ე. ანოხინა (ორივე — მოსკოვი). III ადგილზეა გდრ-ის წარმომადგენელი მ. დოიჩი. ვაჟთა შორის კოშკიდან ხტომაში გაიმარჯვა ერევნელმა ს. კოჩარიანმა, II ადგილზეა მოსკოველი ვ. პოგოჟევი, ხოლო მესამეზე — ერევნელი ვ. კუზნეცინი. დღეს ქალები ასპარეზობენ კოშკიდან, ხოლო ვაჟები — ტრამპლინიდან ხტომაში.

● **კაუნასი,** 25 ივნისი. „მეგობრობის" ველორბოლის VIII ეტაპი მიმდინარეობდა „კაუნასის ზღვის" გარშემო (105 კმ). მეორედ ზედიზედ ეტაპი მოიგო ესტონელმა ი. კლასეპმა (რესპუბლიკის პროფკავშირთა ნაკრები)—2:41.38,0. ფინიშთან II და III იყვნენ ლიტველი ტ. ზლოტნიკოვი და ფ. მაინიუში (პოლონეთის ახალგაზრდული ნაკრები) — 2:41.39,0. 8 ეტაპის შემდეგ გუნდური ადგილები ასე ნაწილდება: 1. „დინამო" (ესტონეთი), 2. გდანსკი, 3. პოლონეთის ახალგაზრდული ნაკრები, 4. ბელოსტოკი, 5. ესტონეთის პროფკავშირთა ნაკრები, 6. ლატვია. ხვალ ველორბოლის უკანასკნელი, IX ეტაპია (კაუნასი — ვილნიუსი).

● **პრაღა,** 25 ივნისი. აქ დაიწყო ჩეხოსლოვაკიის სრულიად სახელმწიფოებრივი III სპარტაკიადისადმი მიძღვნილი საერთაშორისო შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში. ტურნირში მონაწილეობენ გდრ-ის, იუგოსლავიის, საფრანგეთის, სსრ კავშირის, პოლონეთის, ფინეთის, უნგრეთისა და ადგილობრივი სპორტსმენები. ქალთა შორის შეუდარებელი იყო ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი, ჩეხოსლოვაკიელი ვ. ჩასლავსკა. მრავალჭიდში მან 39,25 ქულა დააგროვა და პირველობაც დაისაკუთრა. საბჭოთა ტანმოვარჯიშეები ნ. კუჩინსკაია და ტ. ანტონოვა, რომელთაც დიდ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის გამოცდილება არა აქვთ, წარუმატებლად გამოვიდნენ და შესაბამისად XIII და VII ადგილები დაიკავეს.

● **ტალინი,** 25 ივნისი. აქ დაიწყო თანამედროვე ხუთჭიდში ჩვენი ქვეყნის უძლიერეს სპორტსმენთა შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკებისა და მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები. ასპარეზობის პირველ დღეს მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა ი. ნოვიკოვმა საფარიკაო ბილიკზე ყველაზე მეტი ბრძოლა მოიგო და ასპარეზობას სათავეში მოექცა.

● **სოფია.** ბულგარეთის საჭადრაკო ფედერაცია 15-25 სექტემბერს ვარნაში აწყობს დიდ საერთაშორისო ტურნირს, რომელშიც ევროპის 9 ქვეყნის 16 მოჭადრაკეა მიწვეული: სსრ კავშირის, იუგოსლავიის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, პოლონეთის, საბერძნეთისა და ბულგარეთის დიდოსტატები და ოსტატები. ტურნირში დაწესებული იქნება დიდოსტატისა და საერთაშორისო ოსტატის წოდებათა მისაღები ნორმები.

მასობრივ ფეხბურთს — ყურადღება!

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს II პლენუმმა განიხილა დიდმნიშვნელოვანი საკითხი: „სპორტული ოსტატობის შემდგომი ამაღლებისთვის". აღნიშნული პლენუმის ღონისძიებათა შესრულების ჭრილში საინტერესოა თუნდაც მოკლედ შევეხოთ, თუ რა მდგომარეობაა თბილისში მასობრივი ფეხბურთის განვითარების მხრივ.

ქალაქში საკმაოდაა გუნდები დიდ საწარმო-დაწესებულებებში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში. მართალია, ზოგიერთი მათგანი გამოდის რესპუბლიკის პირველობაზე, მაგრამ უმეტესობა, როგორც იტყვიან, „საკუთარ წვენში" იხარშება. იგივე ითქმის სპეციალიზებულ სკოლებზეც, რომელთა რაოდენობა ქალაქში საკმაოდაა. ისინიც იშვიათად თუ გასცდებიან ხოლმე ადგილობრივი მნიშვნელობის შეჯიბრებებს.

ცუდი მდგომარეობაა სტადიონებზე. მათი უმრავლესობა ვერ პასუხობს სადღეისო მოთხოვნებს, უვარგის მდგომარეობაშია სათამაშო მინდვრები, არაა საშხაპე, გასახდელები. გარდა ამისა, ჩვენს სტადიონებზე არ უთმობენ სავარჯიშო დროს ბავშვებს და მოზარდებს. ახლა, როცა კარგ ტრადიციად დამკვიდრდა ე. წ. ქუჩის გუნდების ორგანიზებული შეჯიბრებები, საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს მოზარდ ფეხბურთელთა სისტემატურ ვარჯიშს.

რახან თბილისი ასეთ გასაჭირს განიცდის სტადიონების მხრივ, საჭიროა მაქსიმალური განვითარება მიეცეს „მცირე ფეხბურთს", რომლისთვის საკმარისია პატარა ზომის სათამაშო მოედნები. საამისო საშუალება ქალაქში არის.

დღემდე ჩატარებულმა შეჯიბრებებმა ცხადყო, რომ თბილისის საფეხბურთო კოლექტივებში ჯერ კიდევ არა დგას სათანადო დონეზე აღმზრდელობითი მუშაობა, რის შედეგადაც ადგილი აქვს დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს. თბილისის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ სულ ახლახან სასჯელი გამოუტანა გვიმრაძეს და ხუციშვილს (წინდების ფაბრიკა), პიტელინს (სპორტკლუბი „განთიადი"), კერესელიძეს, მამფორიას (ფიზკულტურის ინსტიტუტი), დუბრავინს (ფეხსაცმლის ფაბრიკა № 1) და სხვ.

მასობრივი ფეხბურთის განვითარება თბილისში პირველხარისხოვანი ამოცანაა. თუ ამ საქმეს სათანადო სიმაღლეზე დავაყენებთ, ოსტატთა ახალი კადრების აღზრდასაც შევძლებთ.

გ. ჩხიკვაძე.

ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲐ: ᲒᲓᲠ-ᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ

გუშინწინ, თბილისის სპორტის სასახლეში ფრენბურთელ ქალთა გუნდების ტურნირის დაწყებამდე ჩვენ ვესაუბრეთ იაპონიის ეროვნული კოლექტივის ხელმძღვანელს ბ-ნ ჯუნიჩ მორის.

აი, რა გვიამბო მან: „თბილისში ჩვენი კოლექტივი მთლიანად განახლებული შემადგენლობით ჩამოვიდა. ოლიმპიელ ჩემპიონთაგან აქ მხოლოდ ერთია — იოკო სინოძაკი. ეს არც ის გუნდია, რომელიც ახლახან ამერიკის კონტინენტზე გამოდიოდა (არც იქ იყვნენ „ნიჩიბოს“ წარმომადგენლები, ვინაიდან გუნდი დატოვა იმ ცნობილი კოლექტივის ხუთმა ძირითადმა წევრმა). ამგვარად, ეს ახალი კოლექტივები სულაც არ წარმოადგენენ იმ ძალას, რომელიც ადრე გვქონდა. ჩვენ მონდომებით ვემზადებით 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატისა და მეხიკოს ოლიმპიადისთვის და, ალბათ, სწორედ ამ ორი გუნდისგან დაკომპლექტდება კიდეც ეროვნული ნაკრები“.

„ლელოს“ მკითხველთათვის უკვე ცნობილია ჩვენს სასახლეში გამართული ასპარეზობის პირველი დღის შედეგები. აქ ერთგვარ სიურპრიზს წარმოადგენდა კორეელთა გამარჯვება პოლონეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან. კორეელები ორიოდე წელია, რაც ფრენბურთის მსოფლიო სარბიელზე გამოვიდნენ და იმან, რაც თბილისში ვნახეთ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დიდი ბრძოლისუნარიანობითა და მიზანსწრაფვით კორეელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა კიმ ჯუნ პოკი (№ 11).

გდრ-ის სპორტსმენებთან შეხვედრაში იაპონელებმა თავდაპირველად შეძლეს წარმატების მოპოვება და პარტიის მოგებაც. მაგრამ ეს იყო და ეს: გერმანელებს მეტოქის გასაცნობად მხოლოდ 1 პარტია ეყოთ. გუნდმა ურთიერთმოქმედებაში „[illegible]“ იდეალურ სიზუსტეს მიაღწია. ახალი წესების შესაბამისად ბლოკის დაყენება მას საუცხოოდ შეუსწავლია — კუთხეების მოთამაშენი რუტ კორნი (№ 12) და დორიტ შელენბერგი (№ 7) საუცხოო მბლოკირებლებად მოგვევლინენ. გამთამაშებლები — კრისტინ შრადე (№ 3) და ევა-მარია ტრილერი (№ 6) უზუსტესად ახორციელებდნენ გადაცემებს და ყველა ხაზში თანაბრად და შეუცდომლად მოქმედებდნენ. გდრ-ის გუნდი ნამდვილი აღმოჩენა იყო.

იაპონელებმა ბრძოლა ძირითადად წააგეს თავდამსხმელთა სისუსტისა და უხეირო ბლოკის გამო.

გ. ᲘᲠᲘᲜᲐᲣᲚᲘ.

ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲑᲚᲔᲓᲘᲡ ᲢᲑᲐᲡᲗᲐᲜ

დღეს, იუგოსლავიის მაღალმთიან აგარაკ ბლედში იწყება ტალ (სსრ კავშირი) — პორტიშისა (უნგრეთი) და ივკოვ (იუგოსლავია) — ლარსენის (დანია) მეოთხედფინალური მატჩები მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში. მეტოქენი ერთმანეთში 10-10 პარტიას გაითამაშებენ. ორთაბრძოლების საყაიმო შედეგის შემთხვევაში, ბრძოლა გაგრძელდება კიდევ ორ პარტიაში პირველ გამარჯვებამდე. თუ ეს პარტიებიც ყაიმით დასრულდა, მაშინ ნახევარფინალისტებს „გამოავლენს“ კენჭისყრა. ნახევარფინალური ბრძოლებიც ბლედის ტბის ნაპირებზე გაჩაღდება.

ეს შემთხვევითი როდია, რომ დიდ მოჭადრაკეთა სარბიელად ბლედია არჩეული. ამ აგარაკს ახსოვს 1931 წლის საერთაშორისო ტურნირი კორიფეების მონაწილეობით, სადაც იმდროინდელმა მსოფლიო ჩემპიონმა ა. ალიოხინმა 5,5 ქულით (!) გაუსწრო II ადგილზე გასულ დიდოსტატ ბოგოლიუბოვს. 1959 წელს აქ გაიმართა პრეტენდენტთა ტურნირის I-II წრეები, ხოლო 1961 წლის შემოდგომაზე ბლედში მოეწყო უდიდესი ტურნირი მსოფლიოს თითქმის ყველა გამოჩენილი დიდოსტატის მონაწილეობით (I. ტალი, II. ფიშერი, III-V. გლიგორიჩი, კერესი, პეტროსიანი).

მსოფლიოს სპორტული პრესა უკვე კარგა ხანია წერს მეოთხედფინალურ მატჩებზე, მათს მონაწილეებზე და შანსებზე. მიმომხილველები ცდილობენ გამოიცნონ ბ. სპასკის მეტოქე. მონაწილენიც (ტალის გარდა) არ გაურბიან პროგნოზებს. თუ ივკოვს თითქმის ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ ტალი შეხვდება სპასკის, ლარსენი პირდაპირ ამბობს: პეტროსიანს შეხვდება... ლარსენიო! პორტიშიც პასუხს სცემს ყველა შეკითხვას, მხოლოდ ერთის გამოკლებით — როგორი იქნება მატჩების შედეგები? ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებსო.

ყველას ყურადღება მიიქცია ტ. პეტროსიანის ნათქვამმა:

„ივკოვს პირველად ბელგრადში შევხვდი, 1954 წელს. ჩემზე მან უკვე მაშინ მოახდინა შთაბეჭდილება. და შემდგომში მუდამ ვფიქრობდი, რომ მისი შედეგები არ შეესაბამებოდა მის დიდ ტალანტს.

ივკოვი — პოზიციური, ვიტყოდი, ტიპიური იუგოსლავიური სტილის მოჭადრაკეა. მისი სტილი, კარგ ტაქტიკურ მხედველობასთან ერთად, ყველა მეტოქისთვისაა საშიში. ივკოვის შანსები ლარსენთან მატჩში, ჩემი შეხედულებით, 3:1-ზეა იუგოსლაველის სასარგებლოდ.

პორტიშის... თამაში ზოგჯერ ჭეშმარიტი ხელოვანის მწვერვალს აღწევს. მაგრამ მას სერიოზული მინუსებიც ახასიათებს. არც ერთ მოჭადრაკეს არ უყვარს დაფაზე სათამაშო მდგომარეობის მკვეთრი შეცვლა, მაგრამ პორტიში ამას განსაკუთრებით ავადმყოფურად განიცდის. თუ პარტია თავიდან ბოლომდე ერთიანი გეზით მიმდინარეობს, მაშინ პორტიში ძალიან დაჯერებულად თამაშობს.

ბევრს მიაჩნია, რომ უნგრელს კარგი პერსპექტივები აქვს ტალთან მატჩში. როცა ამაზე მეკითხებიან, თუმცა დიდად ვაფასებ პორტიშის თამაშს, ჩვეულებრივ ასეთ პასუხს ვიძლევი, „ჩემთვის ტალი — მუდამ ტალია“.

ლარსენის ძალა რთული სტრატეგიული გეგმების თავისებურ გაგებაშია. მაგრამ დანიელი რამდენადმე გადაჭარბებულად აფასებს თავის ტაქტიკურ შესაძლებლობებს. მე ვფიქრობ, ლარსენმა ჯერ კიდევ უნდა დაამტკიცოს, რომ მისი წარმატება ამსტერდამში საზონათშორისო ტურნირში შემთხვევითი არ იყო“.

ყველა მიმომხილველის აზრით, ორივე მატჩში უაღრესად დაძაბული ბრძოლაა მოსალოდნელი. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან დიდოსტატები შემოქმედებითი ვარდობის პერიოდში იმყოფებიან.

ტალი და პორტიში 28 წლისანი არიან, ლარსენი — 30-სა, ივკოვი — 32-ს. მათგან დიდ ასპარეზობებში თამაშის ყველაზე მეტი გამოცდილება აქვს ტალს. ამას წინათ მან ქირურგიული ოპერაცია გაიკეთა და ამიტომ ბოლო დროს არსად არ უთამაშია. სხვები პირველად ცდიან თავს ბრძოლაში მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრის უფლებისთვის, ამიტომაც მატჩის წინ რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში მიიღეს მონაწილეობა.

საინტერესოა შემდეგი დეტალიც: ტალს და პორტიშს აქამდე ერთმანეთთან სამჯერ უთამაშიათ. ერთი პარტია მოიგო ტალმა (ბულგარეთი, 1958 წ.). ორი კი ყაიმით დამთავრდა (ბლედი, 1961 წ. და ამსტერდამი, 1964 წ.). ივკოვსა და ლარსენს შორის შეხვედრათა ანგარიშია 4,5:3,5 ივკოვის სასარგებლოდ.

საჭადრაკო სამყარო კვლავ დაიმუხტა. ივლისის შუა რიცხვებში გავიცნობთ ნახევარფინალური მატჩის მონაწილეებს, ხოლო აგვისტოში — ბ. სპასკის მეტოქეს.

თ. ᲑᲘᲝᲠᲑᲐᲫᲔ.

ცნობილმა ამერიკელმა კინომსახიობმა ქალმა შ. მაკ-ლეინმა ერთ-ერთი მთავარი როლი ითამაშა სპორტულ კინოკომედიაში „ჯონ გოლდფარბ, წადი შინ!“.

ს უ რ ა თ ზ ე: კადრი ფილმიდან. წინა პლანზეა შ. მაკ-ლეინი.

ᲮᲠᲘᲙᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲣᲕᲘᲓᲐᲗ

რუმინეთის შავი ზღვისპირა საკურორტო ქალაქ მამაიში ამას წინათ გაიმართა საერთაშორისო სათხილამურო კავშირის მორიგი კონგრესი, რომელმაც მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი. ცნობილია, რომ სპორტის ზოგიერთი მოღვაწე (პირველ რიგში, აშშ-დან) ყოველგვარ ინტრიგას მიმართავდა სამთო-სათხილამურო სპორტში 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის პორტილოში (ჩილი) ჩატარების წინააღმდეგ.

ამერიკის პრესა წერდა, რომ „პორტილო ჩაშლის ჩემპიონატს“, რომ „ჩილის მთებში არაფერი არაა მზად“, და იქვე თავაზობდა ჩემპიონატის გამართვას შეერთებულ შტატებში. 1966 წლის მსოფლიო პირველობის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტმა, ჩილიელმა რეილანდო სოლიარმა კონგრესზე განაცხადა, რომ პორტილო ახლავე, სულ ცოტა, 70 პროცენტით მაინცაა მზად მსოფლიოს საუკეთესო სამთო-მოთხილამურეთა მისაღებად.

ამ აზრის სისწორე დაადასტურა სათხილამურო სპორტის საერთაშორისო კავშირის გამოჩენილმა მოღვაწემ, შვეიცარიელმა მარკ ხოდლერმაც, რომელიც ამას წინათ საინსპექტორო მივლინებით იმყოფებოდა პორტილოში. კონგრესმა პორტილო საბოლოოდ დაამტკიცა მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების ადგილად.

1968 წლის გრენობლის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებაზე კონგრესს უამბეს თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის გენერალურმა მდივანმა პიერ როდემ და ვიცე-პრეზიდენტმა რაულ არდიუიმ. საფრანგეთის წარმომადგენლებმა დამსწრეთ აცნობეს, რომ ოლიმპიური ტურნირი სამთო სახეობებში ჩატარდება სოფელ შამრიუსში, რომელიც გრენობლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 45 კილომეტრზე მდებარეობს.

სრულყოფილი ლიფტებით ორსაათნახევარში შესაძლებელი იქნება ტრასებზე 45 ათასი მაყურებლის გადაყვანა. ყველა ოლიმპიური ტრასის გასინჯვა მოხდება წლეულს, სამთო სახეობებში საფრანგეთის ჩემპიონატის დროს. დიდი ტრამპლინი გრენობლიდან 17 კილომეტრით იქნება დაშორებული. ხტომებში შეჯიბრების ნახვა შეეძლება 80 ათას მაყურებელს.

ფრანგების შემდეგ გამოსულმა სათხილამურო სპორტის დიდმა სპეციალისტმა, ინსბრუკის ტრასების შემქმნელმა, ავსტრიელმა პროფესორმა ფრიდლ ვოლფგანგმა ინფორმაცია გააკეთა საფრანგეთში საინსპექციო მოგზაურობის შესახებ.

— გრენობლის ტრასები ძალიან კარგ მდგომარეობაშია, — თქვა მან. — ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ საფრანგეთის საორგანიზაციო კომიტეტის საქმიანობა დამთავრებულია. საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, თუ რამდენი შემთხვევითობა და მოულოდნელობა ელოდება ორგანიზატორებს.

ᲣᲡᲘᲢᲧᲕᲝᲓ...



ჟურნალ „ოილენშპიგელიდან“ (გდრ).





ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ!

◆ **ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. 26 ივნისი.** უიმბლდონის ტურნირს ერთეულ შეჯიბრებებს საბჭოთა ჩოგბურთელებიდან ყველაზე დიდხანს თბილისელი ა. მეტრეველი შემორჩა. იგი წარმატებით გამოვიდა პირველ ორ წრეში, მაგრამ მესამეში, მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად, წააგო ბრაზილიელ თ. კოჩუსთან — 5:7, 6:3, 17:15, 3:6, 6:8.

◆ **ᲙᲘᲔᲕᲘ**, 26 ივნისი. „ბურევესტნიკის“ მძლეოსანთა საკავშირო პირველობის უკანასკნელ დღეს, ლენინგრადელმა ნ. პოლიტიკომ 200 მეტრი გაირბინა 21,1 წამში, ალმაათელმა ა. კაზაკოვმა კი 400 მეტრზე თარჯრბენში აჩვენა 51,2. ორივე შედეგი ჩვენს ქვეყანაში წლეულს საუკეთესოა.

◆ **მ ო ს კ ო ვ ი**, 26 ივნისი. გუშინ ღამით საბჭოთა პარაშუტისტებმა ნ. ვლასოვამ, ა. კენსიცკაიამ, ლ. მასიჩმა, ნ. გრიშჩენკოვამ, ო. რუკოსუევამ, ა. მალიშევამ, ლ. კულეშოვამ, ვ. ხარლამოვამ, ე. მასლოვამ თვითმფრინავ ან-12-დან 12.080 მეტრიდან ჯგუფური დაშვებისას ხტომა მოახდინეს და თავისუფალი ვარდნით 11280 მეტრი „ფრინეს“. ეს ახალი მსოფლიო რეკორდია. ამავე ღამეს ა. კონოვალენკომ, [illegible] ნამ, ა. ზალუსკაიამ, ნ. კოლომინამ, ე. ჩეპილოვამ, ტ. სუხარევამ, ტ. დუბინინამ, ა. გრიდინამ და ნ. [illegible] 12.200 მეტრიდან დახტომის დროს მფრინავი პარაშუტის დაუყოვნებლივ გახსნით. ესეც მსოფლიო ახალი რეკორდია.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ [illegible]

ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲘ. სპორტის სასახლე. **27 ივნისი.** საერთაშორისო ტურნირი ქალთა გუნდებს შორის. 16 ს. **ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ II — ᲒᲓᲠ.** 17 ს. **ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ I — ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ.** 18 ს. **ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ — ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ.** სპორტული მოედნები (პლეხანოვის პრ. № 115). 27 ივნისი-1 ივლისი. საქართველოს პირველობა „ა“ კლასის გუნდებს შორის. დასაწყისი 9 ს.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ. „დინამოს“ საჩოგბურთო მოედნები (სანაპიროზე). 27 ივნისი-3 ივლისი. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. დასაწყისი 10 ს. და 17 ს.

ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ IV ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐ. „ბურევესტნიკის“ სტადიონი. **ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲝᲑᲐ. 27-30 ივნისი.** ფიზკულტურის ინსტიტუტის დარბაზი (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49). **ᲤᲐᲠᲘᲙᲐᲝᲑᲐ. 27-30 ივნისი.** ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). **ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ. 27-30 ივნისი.** „ბურევესტნიკის“ სპორტდარბაზი (კიროვის სახ. პარკი). **ᲛᲐᲒᲘᲓᲘᲡ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ. 27 ივნისი-2 ივლისი.** „მონკავშირის“ სასროლეთი (ი. ჭავჭავაძის პრ. № 51). **ᲡᲐᲡᲢᲔᲜᲓᲝ ᲡᲠᲝᲚᲐ. 30 ივნისი-2 ივლისი.** დასაწყისი 10 ს. და 18 ს.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. „დინამოს“ სტადიონი. **30 ივნისი.** სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასი. **„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (თბილისი) — „ᲜᲔᲤᲗᲩᲘᲐᲜᲘᲙᲘ“ (ბაქო).** ძირითადი შემადგენლობა. დასაწყისი 20 ს.

რედაქტორი მ. ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ.